სპეციალური მასწავლებლის პერსპექტივიდან დანახული საკუთარი როლი, სსსმ მოსწავლეთა მიმართ ტიპური განვითარების მქონე თანაკლასელთა დამოკიდებულებების გაუმჯობესებაში

თამარ ბეცეცაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო გოგიჩაძე

ილიას სახელიწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

მადლობა

მადლობას მინადა გადავუხადო, ჩემს ხელმძღვანელს ნინო გოგიჩაძეს, იმ დახმარებისთვის, რომელიც სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს გამიწია. მისი რჩევები და რეკომენდაციები სწორ მიმართულებას მაძლევდა მუშაობის პროცესში. მადლობას ვუხდი, ასევე რესპონდენტებს, რომლებმაც დამითმეს ძვირფასი დრო და ამით უდიდესი დახმარება გამიწიეს კვლევის პროცესში.

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ბეცეცაშვილი

24.06.2022

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საქართველოს საჯარო სკოლებში დასაქმებული სპეციალური მასწავლებლების თვალით დანახული ტიპური განვითარების მქონე თანაკლასელთა დამოკიდებულებების შესწავლა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მიმართ და თვითონ, სპეციალური მასწავლებლების როლი და საქმიანობა ამ დამოკიდებულებების გაუმჯობესების კუთხით. ასევე, კვლევის ამოცანაა, გამოავლინოს ამ დამოკიდებულებების გამომწვევი სავარაუდო მიზეზები და სპეციალური მასწავლებლების პრაქტიკაში გამოცდილი სარეკომენდაციო ხასითის აქტივობები/სტრატეგიები.

საკვლევი კითხვები განისაზღვრა თეორული ჩარჩოს საფუძველზე, რომელსაც თავის მხრივ საფუძვლად დაედო თემატური, ქართულენოვანი და უცხოური ლიტერატურის დამუშავება და საკვლევი საკითხის ძირითადი თეორიული წინამძღვრების გაცნობა. ასევე თეორიული ჩარჩოს საფუზველზე შეირჩა კვლევის მეთოდი - თვისებრივი კვლევა, რომელიც განხორციელდა საქართველოს საჯარო სკოლებში დასაქმებულ, 20 სპეციალურ მასწავლებელთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუს და მონაცემთა თემატური ანალიზის გზით.

შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში დასაქმებული სპეციალური მასწავლებლები საერთაშორისო გამოცდილებასთან მიმართებაში ძირითადად სწორად აფასებენ სსსმ მოსწავლეთა მიმართ ტიპური განვითარების მქონე თანაკლასელთა დამოკიდებულებებს და საზღვრავენ მათ გამომწვევ ფაქტორებს, თუმცა მათ ნაწილს არ აქვს გააზრებული დამოკიდებულებების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, როგორც ოფიციალური და მორალური ვალდებულება. მიუხედავად ამისა, მათ პრაქტიკაში მრავლად არის გამოცდილი, ქმედითი აქტივობები და სტრატეგიები, რომელთა გამოყენებას სსსმ მოსწავლეთა მიმართ დამოკიდებულებების გაუმჯობესების მიზნით უწევენ რეკომენდაციას.

საძიებო სიტყვები: სპეციალური მასწავლებელის როლი, სსსმ მოსწავლე, ტიპური განვითარების მქონე მოსწავლე, დამოკიდებულებები, სარეკომენდაციო აქტივობები/სტრატეგიები

Abstract

The purpose of this paper is to study the attitudes of typicaly developed students towards the special educational needs (SEN) classmates through the eyes of special teachers employed in Georgian public schools, targetting to better understand the role and contributing activities in the process of improving these attitudes. The aim of the research is to identify the probable causes of these attitudes and the recommended activities and strategies implemented as the best practices

The research questions were defined on the basis of a theoretical framework, based on Georgian and foreign literature. a qualitative research was selected as research method -, which was carried out through in-depth interviews with 20 special education teachers.

The results showed that special educators employed in Georgia, in relation to international experience, on a general basis, are awwear of the attitudes of classmates towards the students with SEN and determine their causal factors. some of the participants do not consider obligatory to take care for improvement of existing negative attitudes as a formal and moral responsibility. Nevertheless, many of them have implemented, effective activities and strategies in their practice, the use of which is recommended to have positive effect on improving attitudes towards students with SEN.

Keywords: role of special education teacher, SEN (Special Educational Needs) with typical development, attitudes, recommendatory activities / strategies.

ცხრილების, გრაფიკების და დიაგრამების ნუსხა

გრაფიკი 1. კვლევაში მონაწილე პირები ----------22